

**ხელშეკრულება**  
**სს სილქნეტის სამმაგი შეთავაზება S1 -ის შესახებ (დსლ ტექნოლოგიით – თბილისი)**  
**(მობილური სატელეფონო მომსახურება + ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურება + ინტერნეტი)**

აბონენტის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

დაბადების თარიღი \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_

რეგისტრაციის მისამართი \_\_\_\_\_

ფაქტიური მისამართი \_\_\_\_\_

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მობილურის \_\_\_\_\_

აბონენტის პერსონალური კოდი			
აბონენტის პირადი ანგარიშის ნომერი			
აბონენტის მიერ შერჩეული/არსებული ფიქსირებული სადენიანი ტელეფონის ნომერი/ები (მაქსიმალური რაოდენობა ორი (2) )			
ფიქსირებული სადენიანი ტელეფონის სააბონენტო	4	7	10
აბონენტის მიერ შერჩეული/არსებული მობილური ტელეფონის ნომერი/ები (მაქსიმალური რაოდენობა 5 (ხუთი) )	[MOB_NUM]		
ინტერნეტის სიჩქარე	3 მბ /წმ/ მდე	6 მბ/წმ -მდე	8მბ/წმ -მდე

**აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ (დანართი N1- „სატარიფო გეგმა“ და დანართი N2 „პირითადი წესები და პირობები“).**

იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი შეიცვლის ზემოაღნიშნულ რომელიმე რეკვიზიტს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „სილქნეტს“ ამ ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მისთვის ცნობილ „აბონენტის“ შესაბამის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად შესაძლოდ წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიანსა თუ ზარალზე.

აბონენტს შეუძლია, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით - „ფვი ბოქსებისა“ და ინტერნეტ გადახდების საშუალებით.

/თარიღი/ \_\_\_\_\_ წ.

**ხელშეკრულების ამ გვერდზე აღნიშნული ყველა ველი სავალდებულოა შესავსებად**

**ხელშეკრულება სატელეფონო მომსახურების გაწევის შესახებ № 9.**

- წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, „მზარეთა“ მიერ მის შეწყვეტამდე „ძირითადი წესების და პირობების“ შესაბამისად. „აბონენტი“, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „სილქნეტის“ ნებისმიერ სერვის ცენტრს და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა „ძირითადი წესების და პირობების“ შესაბამისად. ამასთან, „აბონენტი“ ვალდებულია, ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისათვის „სილქნეტის“ წინაშე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახადი თუ დავალანება.
- „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათში.
- „აბონენტის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა ხორციელდება „ხელშეკრულების“ დანართი #1 შესაბამისად.
- „აბონენტი“ უფლებამოსილია მიიღოს დადგენილი ხარისხის „მომსახურება“ და ვალდებულია დროულად და სრულად გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“ ხოლო „სილქნეტი“ ვალდებულია მიაწოდოს „აბონენტს“ დადგენილი ხარისხის „მომსახურება“.
- „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ თანახმაა მის სახელზე დარეგისტრირდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურება“. „აბონენტი“, ასევე აცხადებს, რომ მას გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებართვა/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.
- „კომპანია“ უფლებამოსილია „ძირითადი წესების და პირობების“ მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების გზით „აბონენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე „მესამე პირს“ გადასცეს მისი „ხელშეკრულებით“ ნაკისრი უფლებები ან/და მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „აბონენტი“ წინასწარ წერილობით ან/და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის ან პაროლის გამოყენებით უარს განაცხადებს ასეთ გადაცემაზე. ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს შეტყობინების განხორციელებიდან: სატელეფონო კავშირით მომსახურების შემთხვევაში – 60 დღის გასვლის შემდეგ, ხოლო სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემთხვევაში – 45 დღის გასვლის შემდეგ. „აბონენტის“ მიერ აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება უპირატესი უფლების მქონე მესამე პირზე, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურებით და ამას ადასტურებს „კომპანიისათვის“ გადახდის ქვითრების წარდგენით, ხოლო სხვა შემთხვევაში „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება „აბონენტის“ თანხმობით ან მესამე პირის მიერ მომსახურების მიღებაზე სათანადო უფლებამოსილების დადასტურებით. აღნიშნული მუხლით „სილქნეტის“ მიერ „მესამე პირზე“ გადაცემული უფლება/მოვალეობები არ გამოიცხადებს ძველი „აბონენტისათვის“ 3 წლის განმავლობაში დაფიქსირებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე ამ უფლება/მოვალეობების უკან დაბრუნებას.
- „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- „ძირითადი წესები და პირობები“ თან ერთვის ამ ხელშეკრულებას (დანართი #2) და წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და ასევე განთავსებულია „სილქნეტის“ ვებ-გვერდზე: [www.silknet.com](http://www.silknet.com).
- „აბონენტი“ ადასტურებს, რომ „ხელშეკრულებაზე“ იგი ხელს აწერს ნებაყოფლობით და გააზრებული აქვს როგორც „ხელშეკრულების“ ასევე „ძირითადი წესების და პირობების“ ყველა პირობა და დებულება.
- „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით ვრცელდება და სავალდებულოა „მზარეთა“ უფლებამონაცვლეობისა თუ მემკვიდრეობისათვის/სამართალმემკვიდრეობისათვის.
- „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გარდა სხვა დამატებითი მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნება დანართის სახით.
- ყველა პირობა, მზარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები რაც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, რეგულირდება „ძირითადი წესებით და პირობებით“;
- „აბონენტი“, „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 17.03.2006წ. #3 დადგენილებს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტს“.
- გარდა „ხელშეკრულებითა“ და „ძირითადი წესებითა და პირობებით“ გაცხადებული გარანტიებისა, „აბონენტი“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მას გადაეცა „კომპანიისაგან“ მოთხოვნილი მობილური ტელეფონის აპარატი.

**დანართი 1.  
 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურების სატარიფო გეგმა .**

ჩამონათვალი	ტარიფები ლარში
<b>RUIM ზარათი</b>	
რუიმ ზარათის აქტივაციის ღირებულება	მოიცავს სააბონენტო გადასახადი
პირველადი საავანსო შენატანი	1.00
<b>ძირითადი ტარიფები</b>	
სერვისის მიწოდების ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, რომელიც ექრება აბონენტს თვის განმავლობაში ყოველდღიურად, და რაც არ მოიცავს ფასიანი ზარების ღირებულებას (დაერიცხება აბონენტს ყოველ მესამე და შემდგომ მობილურ ნომერზე)	3.00
<b>1 წუთი ზარის ღირებულება:</b>	
აქტიური სერვისის შემთხვევაში ან დადებითი ბალანსის არსებობისას სილქნეტის მიდა ქსელში სასაუბრო დრო	ულიმიტო
სხვა ფიქსირებული ოპერატორების ქსელში	0.06
სხვა ფიქსირებული ოპერატორების ქსელში განხორციელებული საქალაქთაშორისო ზარები	0.06
სხვა უსადენო ოპერატორების ქსელში	0.06
მობილურ ოპერატორებთან (მაგთი, ჯეოსელი)	0.10*
მობილურ ოპერატორებთან (ბილაინი)	0.16*
მობილურ ოპერატორებთან (გლობალ სელი)	0.16*
1 ცალი SMS-ის გაგზავნა	0.05
<b>* ზარის წამოწყება</b>	<b>0.05</b>

**ფიქსირებული ქსელით სატელეფონო მომსახურების სატარიფო გეგმა თბილისში.**

სილქნეტის ფიქსირებული ტელეფონი	თბილისი		
სილქნეტის ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების პაკეტი	პაკეტი 1	პაკეტი 2	პაკეტი 3
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	4 ლარი	7 ლარი	10 ლარი
პაკეტების სააბონენტო მოიცავს სილქნეტის ქსელში წუთების რაოდენობას	100 წუთი	ულიმიტო	
<b>1 წუთი ზარის ღირებულება:</b>			
ადგილობრივი ზარების (წუთი) ღირებულება სილქნეტის ქსელში	0.02	(სააბონენტო გადასახადი მოიცავს სილქნეტის ქსელში წუთების ულიმიტო რაოდენობას)	

ადგილობრივი ზარები სხვა ოპერატორის ფიქსირებული ქსელში*	0.04	0.04	0.04
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებული და უსადენო ქსელში	0.06	0.06	0.06
ზარი სხვა ოპერატორების უსადენო ქსელში	0.04	0.04	0.04
მობილურ ოპერატორებთან	0.32	0.28	0.20
ინსტალაციის ღირებულება:	40 ლარი	40 ლარი	40 ლარი
ლიმიტი	600 ლარი	600 ლარი	600 ლარი

\* სილქნეტის ფიქსირებული ქსელიდან, განსაზღვრული ოპერატორების ფიქსირებული ქსელ(ებ)ის მიმართულებით ადგილობრივი ზარის ტარიფი შეადგენს 6 თეთრს; ოპერატორების ჩამონათვალი: შპს ალფა დეველოპმენტ ჯორჯია; შპს ა-ნეტი; შპს კავკასუს ონლაინი (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით); შპს კავკასიის ციფრული ქსელი; შპს ჯეონეთი; შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი; შპს საქართველოს რკინიგზა; სს გლობალ ერიო; შპს გ.ს.ი. ტექნოლოჯები; შპს ქართული სატელეფონო კომპანია ჯეტს-ი; შპს კეთილი ნების კომუნიკაციები-გუდვილკომი; სს ინფოჯორჯია XXI; შპს ინტელ ფონი; შპს ლავი; შპს მაგთიკომი \*; შპს მობიტელი; შპს მაიფონი; შპს სერვისნეტი; შპს ახალი ქსელები \*\*; შპს ბოლნისის ახალი ქსელები;

შენიშვნა \*  
 \* მხოლოდ ფიქსირებული სადენიანი ქსელი;  
 \*\* მხოლოდ ზესტაფონი, ფოთი, ბოლნისი;

\*\* სილქნეტის ქსელიდან შპს კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით ზარის ტარიფი შეადგენს 8 თეთრს. ფასი მოიცავს დღგ-ს.

**სილქნეტის ინტერნეტის (დალ ინტერნეტი) სატარიფო გეგმა.**

სილქნეტის ინტერნეტი	ეკონომი	სტანდარტი	მაქსი
სილქნეტის ინტერნეტის მომსახურების პაკეტების ღირებულება	24 ლარი	45 ლარი	65 ლარი
სიჩქარე	3 მბ/წმ -მდე	6 მბ/წმ -მდე	8 მბ/წმ -მდე
ინსტალაციის ღირებულება (ერთჯერადად გადასახდელი თანხა რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ოთხპორტიანი მოდემის ინსტალაციას)		15 ლარი	
WiFi მოდემის ინსტალაციის დამატებითი ღირებულება		15 ლარი	

ინსტალაციის დამატებითი ხარჯები	ფასი ლარში
--------------------------------	------------

10 მეტრი კაბელი	ღირებულებას მოიცავს ინსტალაციის გადასახადი
10 მეტრის ზემოთ დახარჯულ ყოველ 1 მეტრ ტელეფონის კაბელზე	0.25
10 მეტრის ზემოთ დახარჯულ ყოველ 1 მეტრ ქსელის კაბელზე	0.8
1 ც სპლიტერი და 1 ც ფილტრი	ღირებულებას მოიცავს ინსტალაციის გადასახადი
ყოველ დამატებით ფილტრზე	4
ყოველ დამატებით სპლიტერზე	4
WiFi მოდემზე (მეორე და ყოველი მომდევნო)	15
ოთხპორტიან მოდემზე (მეორე და ყოველი მომდევნო)	5

**მომსახურების მთლიანი პაკეტის ლიმიტი შეადგენს 600 ლარს.**

**შენიშვნა: ფასი მოიცავს დღგ-ს. ტექნიკური მოწყობილობები/საშუალებები რჩება სილქნეტის ბალანსზე.**

**მომსახურების გადახდის პირობა:** მომსახურების შემდგომი გადახდა.

ყოველთვიური გადასახადის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვეში ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ნომრის პრეფიქსების მიხედვით დაწესებულ თარიღებში:

პრეფიქსი	თარიღი
229; 237; 262; 263; 291; 293; 296	10 რიცხვი
222; 230; 231; 234; 236; 264; 266; 272; 278; 292; 294	15 რიცხვი
223; 235; 238; 251; 267; 268; 271; 273; 298; 299	20 რიცხვი
225; 239; 240; 241; 260; 261; 274; 295	25 რიცხვი

**მომსახურების შეზღუდვის პირობები:**

მომსახურების შეზღუდვა ხდება დავალიანების დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, კერძოდ „აბონენტს“ ეზღუდება:

- ინტერნეტ-მომსახურება
- სატელეფონო მომსახურება
- სატელეფონო მომსახურება ცალმხრივად ეზღუდება 4 თვის განმავლობაში (ეზღუდება გამავალი ზარები).

**ხელშეკრულება სატელეფონო მომსახურების გაწევის შესახებ № წ.**

- ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 თვის განმავლობაში, აბონენტს ერეცხება ფიქსირებულ სატელეფონო ნომრებზე დაწესებული სააბონენტო გადასახადი და მობილური სატელეფონო სერვისის გაწევისთვის გადასახდელი ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, ასევე დავალიანების გადაუხდელობისთვის ყოველთვიური ჯარიმა,
- ცალმხრივად გათიშვიდან არასრული 4 თვის განმავლობაში (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (შეზღუდულ გამავალ ზარებთან ერთად ეზღუდება შემავალი ზარებიც).
- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომრები.
- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის გასვლის შემდეგ კომპანია იტოვებს სატელეფონო ნომრების გასვლის უფლებას.
- იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული მომსახურება, მას არ ერეცხება სააბონენტო გადასახადი და მობილური სატელეფონო მომსახურებისთვის გადასახდელი ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, ასევე დავალიანების გადაუხდელობისთვის დადგენილი ყოველთვიური ჯარიმა.

**ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:**

- თუ აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას მომსახურების აღდგენისთვის გათვალისწინებულ 4 თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის დასრულების შესაბამისი თვის მომდევნო თვის 1 რიცხვიდან ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.
- ხელშეკრულება ასევე წყდება დანართ #2-ით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**ხელშეკრულების აღდგენის პირობები:**

- მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის განმავლობაში დავალიანებისა და მომსახურების აღდგენის ღირებულების გადახდის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება, აღიდგინოს ინტერნეტ მომსახურება და სატელეფონო ნომრები შესაბამისი სატელეფონო მომსახურებით. აღდგენის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს;
- მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის განმავლობაში არ დაფარავს დავალიანებას და არ გადაიხდის აღდგენის საფასურს (20 (ოცი) ლარს), იგი კარგავს უფლებას სატელეფონო ნომრებზე და „კომპანიას“ უფლება აქვს გასცეს ეს ნომრები სხვა აბონენტზე.
- მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის გასვლის შემდეგ, „აბონენტს“, საშუალება ეძლევა ხელახლა მიიღოს სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის და მომსახურების ხელახლა მიღების დროისთვის არსებული ინსტალაციის ღირებულების გადახდის შემდეგ. თუ მომსახურების აღდგენის დროს სატელეფონო ნომერი/ები გასხვისებულია, მომხმარებელი ვერ შეძლებს ნომრის/ების დაბრუნებას.

**გალმობრვად გათიშვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე**

აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაფაროს დავალიანება (ასეთის არსებობისას) და დააბრუნოს მის დროებით სარგებლობაში გადაცემული კომპანიის კუთვნილი მოწყობილობები/ტექნიკური საშუალებები. ხელშეკრულების შეწყვეტისას (ნებისმიერი საფუძვლით) მოწყობილობების დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობისთვის აბონენტს ერეცხება შეწყვეტის დღისთვის არსებული მოწყობილობის სარგალიზაციო ღირებულება.

მოწყობილობის დასახელება	მოწყობილობის სარგალიზაციო ღირებულება ლარში
დსლ მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	25
ოპტიკური მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	80
დეკოდერი (stb)	80

ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს "სილქნეტის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [WWW.SILKNET.COM](http://WWW.SILKNET.COM), "სილქნეტის" სერვის-ცენტრებში ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.